ო ქ მ ი N15

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 31 ივლისი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 14

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 13

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა (არაუფლებამოსილი პირი - შვებულებაშია)
5. დოდო გაბუნია
6. თენგიზ აბაკელია
7. ნუგზარ შუშანია
8. როსტევან გვარამია
9. ლევან ქავთარაძე
10. ვასილ კუკავა
11. მალხაზ ლაგვილავა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ე. წურწუმიას 2017 წლის 17 ივლისის N327 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განცხადების გაკეთების თაობაზე);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩოკორაიას 2017 წლის 17 ივლისის N04/2990 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის იანვარ-ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2017 წლის 27 ივლისის N04/3129 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის 2017 წლის 27 ივლისის N341 განცხადების განხილვა (ფ. გოცირიძისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ - საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის 2017 წლის 27 ივლისის N129 წერილის განხილვა (ნ. ზარანდიასთვის და ი. გეთიასთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2017 წლის 28 ივლისის N03/3160 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

7. ფაზისის საერო - სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმის წევრების 2017 წლის 28 ივლისის N345 განცხადების განხილვა (მ. ბუკიასთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე);

8. სს სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ხობის ჰოსპიტალის თანამშრომლების 2017 წლის 28 ივლისის N348 განცხადების განხილვა (რ. მიხელაშვილისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები.

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით წარმოდგენილი მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 საკითხების გაერთიანების თაობაზე

ბიუროს ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის წინადადებას, იდენტური საკითხების გაერთიანების თაობაზე და კენჭი ეყარა დღის წესრიგის კორექტირებულ ვარიანტს

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ე. წურწუმიას 2017 წლის 17 ივლისის N327 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განცხადების გაკეთების თაობაზე);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩოკორაიას 2017 წლის 17 ივლისის N04/2990 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის იანვარ-ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2017 წლის 27 ივლისის N04/3129 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ - საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის 2017 წლის 27 ივლისის N129 წერილის, ხობის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის 2017 წლის 27 ივლისის N341, ფაზისის საერო - სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმის წევრების 2017 წლის 28 ივლისის N345, სს სამედიცინო კორპორაცია „ევექსის" ხობის ჰოსპიტალის თანამშრომლების 2017 წლის 28 ივლისის N348 განცხადებების განხილვა (ფ. გოცირიძისთვის, ნ. ზარანდიასთვის, ი. გეთიასთვის, მ. ბუკიასთვის და რ. მიხელაშვილისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2017 წლის 28 ივლისის N03/3160 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს კორექტირებული სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ე. წურწუმიას 2017 წლის 17 ივლისის N327 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განცხადების გაკეთების თაობაზე);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ე. წურწუმიას განცხადება (ოქმს თან ერთვის), სადაც ის ითხოვს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განცხადების გაკეთებას და შემოვიდა წინანდებით ე. წურწუმიას განცხადების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი განცხადების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განცხადება შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩოკორაიას 2017 წლის 17 ივლისის N04/2990 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის იანვარ-ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის იანვარ-ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2017 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 9560,2 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 10936,9 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 1526,4 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. 2017 წლის იანვარ-ივნისის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 40,6 %-ით. საგადასახადო შემოსავლები გეგმიური წლიური 7600,0 ათასი ლარიდან 6 თვეში შემოსულია 3068,6 ათასი ლარი. გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 თვეში მიღებულია 514,9 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 2017 წლის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული 383,8 ათასი ლარიდან ბიუჯეტში 6 თვეში შემოსულია 223,6 ათასი ლარი. შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია წლიური გეგმიური 50,0 ათასი ლარიდან 6 თვეში 74,0 ათასი ლარი.

წლიური ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი 6 თვეში ათვისებულია 34,7%. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაცვა, წლიური გეგმიური 117,7 ათასი ლარიდან 6 თვეში ათვისებულია 59,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – წლიური გეგმით გათვალისწინებული 5389,7 ათასი ლარიდან 6 თვეში ათვისებულია 1334,8 ათასი ლარი. საგანმანათლებლო ღონისძიებები წლიური გეგმიური 1092,9 ათასი ლარიდან 6 თვეში ათვისებულია 501,8 ათასი ლარი. „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" წლიური გეგმიური 987,7 ათასი ლარიდან 6 თვეში ათვისებულია 420,7 ათასი ლარი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2017 წლის გეგმიური 546,9 ათასი ლარიდან 6 თვეში ათვისებულია 215,2 ათასი ლარი. ფულადი სახსრების ნაშთი 2017 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 2538,9 ათასი ლარია. გამომსვლელის შემოვიდა წინადებებით წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე გატანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2017 წლის 27 ივლისის N04/3129 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 140.3 ათასი ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, კერძოდ: „პრიორიტეტის

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებები“ 140.3 ათასი ლარით. 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ადგილობრივ ბიუჯეტში აისახა 116.7 ათასი ლარი. ნაშთი 116,7 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) და გამოთავისუფლებული 140,3 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი), სულ 257,0 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: „პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებებზე“ 222,0 ათასი ლარი; პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებებზე 35,0 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

4. ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ - საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის 2017 წლის 27 ივლისის N129 წერილის, ხობის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის 2017 წლის 27 ივლისის N341, ფაზისის საერო - სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმის წევრების 2017 წლის 28 ივლისის N345 და სს სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ხობის ჰოსპიტალის თანამშრომლების 2017 წლის 28 ივლისის N348 განცხადებების განხილვა (ფ. გოცირიძისთვის, ნ. ზარანდიასთვის, ი. გეთიასთვის, მ. ბუკიასთვის და რ. მიხელაშვილისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო წარმოდგენილი შუამდგომლობები ფ. გოცირიძისთვის, ნ. ზარანდიასთვის, ი. გეთიასთვის, მ. ბუკიასთვის და რ. მიხელაშვილისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა წარმოდგენილი წინადადებები და ამ ეტაპისთვის მიზანშეწონილად მიიჩნია ხობის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭოს რევაზ მიხელაშვილის და ირაკლი გეთიას, როგორც არახობელებს, რომლებიც ხობელი მოქალაქეებისთვის იღწვიან წლების განმავლობაში და დასძინა, რომ რევაზ მიხელაშვილი არის ექიმ-ტრავმატოლოგი, იგი ხობის მუნიციპალიტეტში მოღვაწეობს 1982 წლიდან, ამ პერიოდიდან დღემდე მას გაკეთებული აქვს უამრავი სასიკეთო საქმე. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის მასშტაბით მსგავსი ოპერაციები, რაც ხობის ჰოსპიტალში კეთდება ტრავმატოლოგიური მიმართულებით, არსად არ კეთდება. იგი არის ადამიანი, რომელიც პროფესიონალიზმის გარდა გამოირჩევა კომუნიკაბელურობით, სიკეთის კეთების უნარით, თავმდაბლობით და უამრავი დადებითი თვისებებით. უკვე 35 წელია ბატონი რევაზ მიხელაშვილი დაუზარლად გვერდში უდგას და ემსახურება ხობს და ხობელებს. რაც შეეხება ბატონ ირაკლი გეთიას ისიც 33 წელია მუშაობს ხობის სასპორტო სკოლაში ჭადრაკის ჯგუფის მწვრთნელ-მასწავლებლად, არის სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ეროვნული ოსტატი, ინსტრუქტორ-მწვრთნელი. ოთხჯერ იყო დასახელებული სამეგრელოს რეგიონის საუკეთესო მწვრთნელად და ორჯერ დასახელებული იყო საქართველოში ბავშვთა ჭადრაკში მოღვაწე სამ საუკეთესო მწვრთნელებს შორის. მისი აღზრდილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავები არიან: ზურაბ ტყებუჩავა - საერთაშორისო ოსტატი, მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი; დიანა ლომაია-ევროპის თასის ორგზის მფლობელი და საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი; თეიმურაზ კვიკვინია - საქართველოს ორგზის ჩემპიონი, ლუკა შამუგია - საქართველოს ჩემპიონი. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია რ. მიხელაშვილისთვის და ი. გეთიასთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სასურველი იყო ყველას მინიჭებოდა ხობის საპატიო მოქალაქის წოდება, მაგრამ, არც ის იქნება მისაღები გაუფასურდეს აღნიშნული წოდების მინიჭება. გამომსვლელის აზრით უფრო უპრიანი იქნებოდა ცვლილება შევიდეს ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესში და

გაიზარდოს საინიციატივო ჯგუფის ხელმომწერების ზღვრული ოდენობა, თუნდაც ხუთასამდე.

მ. ქარდავა - ჩემის აზრით ფრიდონ გოცირიძე ღირსია მინიჭებოდა ხობის საპატიო მოქალაქის წოდება, გამომდინარე იქიდან, რომ ის 40 წელზე მეტია ნორჩი ფეხურთელების აღზრდის საქმეს ემსახურება. მისი ხელმძღვანელობით ხობის „კოლხეთი" 1999 წელს გადავიდა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. მისი აღზრდილ ფეხბურთელებს უთამაშიათ საქართველოს ეროვნულ და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში.

ე. ჯობავა, რ. გვარამია - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ ეთანხმებიან სოციალურ საკითხთა კომისიას, ამ ეტაპისთვის ორ პიროვნებას მინიჭებოდა ხობის საპატიო მოქალაქის წოდება. სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუროს თითოეულ წევრს აქვს თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლება და შეუძლია ხელის აწევით დააფიქსიროს თავისი ნება კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

კენჭი ეყარა წინადადებას რევაზ მიხელაშვილისთვის და ირაკლი გეთიასთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 9, წინააღმდეგი – არც ერთი

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: - მ. ქარდავა)

დაადგინეს: მიეცეს რეკომენდაცია ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული დამსახურებისთვის რევაზ მიხელაშვილისთვის და ირაკლი გეთიასთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეგლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2017 წლის 28 ივლისის N03/3160 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნები წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლითაც დადგენილების პირველი მუხლის „პ“ ქვეპუნქტში სწორდება დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: გამგეობის დებულების მე-18 მუხლის 1^5 პუნქტში მითითებული პუნქტების ნომრები. რაც შეეხება მეორე პროექტს, გამგეობის განმარტებით „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაზე საკრებულოს ნორმატიული აქტების სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებულ იქნა რეკომენდაცია, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების ოდენობისა, დადგენილებით ასევე განსაზღვრულიყო შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები. მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა